# საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

**რედაქცია და კონტორა:** თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 11 რედაქცია და კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის. ტელეფონი № 15—73. მისამართი დეპეშებისათვის: თბილისი „საქართველო" ფოსტის ყუთი № 76

**განცხადებანი:** განცხადება მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 15 მ. მე-4 გვერდზე—12 მ. ხამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—400 მ. 2 ნახ. საათის შემდეგ 100 მანეთით მეტი.

**ხელის მოწერა:** გაზეთი „საქართველო" ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—375 მან. ცალკე № —15 მან.

ფასი 15 მან.

წელიწადი მეექვსე. ხუთშაბათი, გიორგობისთვის 4. 1920 № 189.



მოითხოვეთ ყველგან საუკეთესო ხარისხის

## კონიაკი

გაწმენდილი პურის არაყი და ტკბილი სასმელები დ. ი. კალანდაძისა

ბითუმად და ცალ-ცალკე თვით ქარხანაში ლაგირის (ვაგზლის) ქ. № 5.



## დასავლეთ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო სააქციონერო ბანკის

საორგანიზაციო კომიტეტი აცხდებს, რომ კვირას 7-ს ნოემბერს დილის 10 საათზე, ქ. ქუთაისში, საზოგადო საკრებულო დარბაზში, დანიშნულია

## აქციონერთა პირველი საზოგადო

# კრება

### კრების საგანი

1. საორგანიზაციო კომიტეტის მოხსენება
2. განხილვა და დამტკიცება წლიური ხარჯთ აღრიცხვისა
3. განსაზღვრა საბჭოსა და გამგეობის წევრის რიცხვისა
4. არჩევნები: საბჭოსი, გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა.



## სახელმწიფო დრამის თეატრი

შაბათს, ნოემბრის 6-ს

# „ოტელო"

—შექსპირისა.

ახალი დეკორაციებით და კოსტიუმებით მხატვრის ალ. ზალცმანისა და ახალი მიზანსცენებით.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

რეჟისორი აკაკი ფაღავა.



სახელმწ. თეატრი

## ოპერა

ნოემბრის 4

**კარმენი**

ნოემბრის 5

**ბალეტის საღამო მ. მორდკინისა**

ნოემბრის 6

ოპერა მუშებისთვის

**ევგენი ონეგინი**

ოპერის დასაწყისი საღამოს სრულ. 8 საათზე



ხუთშაბათი 1920 წ. | **ქართული კლუბი** | 4 გიორგობის 1920 წ.

საღამოს 7 საათზე

დანიშნულია ქართულ კლუბის დარბაზში

## წევრთა საზოგადო საგანგებო კრება

### კლუბის არსებობის შესახებ შემდეგში.

თუ ვინიცობაა კრება არ შესდგა წევრთა კანონიერი რიცხვის გამოუცხადებლობის გამო, შემდეგი კრება დაინიშნება 11 გიორგობისთვეს, საღამოს 7 საათზედ, რომელიც კლუბის წესდების მე-31 მუხლის ძალით კანონიერად ჩაითვლება რა მცირე წევრთა რიცხვიც გამოცხადდეს.

მამასახლისთა საბჭო.



სახალხო სავაჭრო-სამრეწველო საზოგადოება

შეერთებული შტატების ნიუიორკი

## უმთავრესი კონტორა აღმოსავლეთისათვის

კონსტანტინოპოლი 20-25 ტაიტასხან გალატა

წარმომადგენლობა კავკასიისათვის

## ავტომობილები და ბარგის საზიდები ფორდისა

ტრაქტორები ფორდსონისა. შინები და კორიშკები

წარმომადგენელი ახლა თბილისშია. სასტუმრო „ორიანტი" № 18 დილით 10-12 საათამდე საღამოთი 4—6 საათამდე.



## სატიროლა თუჯის ღუმელი

მიღებიანათ

მისამართი გაზეთ „საქართველო", რუსთაველის პროსპ. № 11 დილის 9—2 საათ.

მინდა ვიყიდო საწერი **მაგიდა**

იკითხეთ ტელეფონით № 15-73

# დღე.

,,ხიზის''-ს ცნობით გენ. ვრანგელის მდგომარეობა საშიშია.
სომხეთის მისიის ცნობით ქემალ ფაშის ჯარებმა ყარსი დაიკავეს.
გერმანიაში მაღაროების სოციალიზაციას მოითხოვენ.
ვენიზელოსმა განაცხადა, რომ საბერძნეთის ხალხს მეფე ჰსურს.
საქართველოს დამფუძნებელი კრების მუშაობა ნოემბრის 9-დან განახლდება.

## წერილები.

მეთაური: საქართველოს მოწვევა ერთა ლიგაში.
ყარსის დაცემა.
ელი: მოუფიქრებელი პროექტი.
ფელეტონი: გ. გვაზავა: ერთა ლიგა.

## საქართველოს მიწვევა ერთა ლიგაში.

შინ და გარეთ რათა ხანია გვირჩევდნენ მიგვეღო ყოველივე ზომა საქართველოს ერთა ლიგაში შესასვლელად. ევროპის გამოცდილი პოლიტიკური მოღვაწენი გაოცებულნი იყვნენ იმის გამო, რომ საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელნი ასე გაურბოდნენ მთელი ამ ხნის განმავლობაში იმ დაწესებულებას, რომლის რეალური მნიშვნელობა არსებულ საერთაშორისო ურთიერთობაში ექვს არავისში უნდა ჰბადებდეს. ევროპის ხელმძღვანელ წრეებისათვის საქართველოს საერთაშორისო პოლიტიკა დიდს გაუგებრობასი წვევს დღესაც: მართლაც, საკვირველია, რომ პოლიტიკური ერთეული, რომელიც მხოლოდ ფაქტიურად არსებობს და მოწადინებული კია იურიდიულ ფორმებში მოაქციოს თავისი სახელმწიფოებრივი არსებობა, სათანადო ყოფაქცევას არ იჩენდეს თავის საერთაშორისო ცნობისათვის. ევროპამ დიახაც რომ კარგად უწყის, საით იხრება საქართველოს წარმომადგენლობის მოქმედების გეზი! ნურვინ იფიქრებს, თითქოს ჩვენი პოლიტიკური წარმომადგენლების ნაბიჯები შეუმჩნეველი რჩებოდეს იმათთვის, ვისზედაც ფაქტიურად დამოკიდებულია საქართველოს სუვერენიტეტის ცნობა! მერყეობისა, სისტემატიური ქანაობის პოლიტიკას, ალბად, მიგვიხვდებოდნენ ევროპის გამობრძმედილი დიპლომატები და არა გვგონია აქტივში ჩაგვიწერონ ეს მოქმედება.

ყოვლად მოუხერხებელია ერთსა და იმავე დროს სამსახური ღმერთისა და ბელზებულის წინაშე. ასეთი როლი მხოლოდ ყველაფრის ამტან მენშევიკებს თუ სჩვევიათ: პარიზში ისტორიულ-იურიდიულ საბუთების წარდგენა საქართველოს სუვერენიტეტის დასასაბუთებლად და ასახსნელად, ხოლო ლიუცერნში ,,ნიანგის ცრემლთა'' ღვრა ,,მთლიანი დემოკრატიული ფრონტის დარღვევისა'' და ბოლშევიკების გამხრწნელ მოქმედებისა გამო, რამაც ქართველი სოციალდემოკრატები აიძულა საკუთარ სახელმწიფოებრივსა და ნაციონალურ ჩარჩოებში მიმწყვდეულიყვნენ და რასაკვირველია დროებით საერთო მდგომარეობის გამოსწორებამდე!

ასეთს ორმაგ პოლიტიკას სოციალ-დემოკრატიული პარტია დღესაც აწარმოებს შინაც და საზღვარგარედაც. მენშევიკები ისე გამოაბრუა რუსეთის ამბებმა, რომ მთელი მსოფლიო სოციალური კატაკლიზმის წინ მდგომად ელანდებათ. ამიტომ არის, რომ ეს ადამიანები თოფის სასროლ მანძილზე უვლიან ,,კაპიტალისტურ ევროპას'' და ფარისევლურად ელიჯებიან ევროპისავე ,,ძლევამოსილ პროლეტარიატს'' და რუსეთის ,,მოწინავე დემოკრატიას''.

,,ინტერნაციონალის'' მოლოდინში ჩვენი მენშევიკები დღევანდელ ვითარებისათვის სამოქმედო ნიადაგს უმიზნოდ ჰკარგავენ... ვერც ევროპის სოციალისტურმა დელეგაციამ დაარწმუნა ისინი ამ ლოდინის უიმედობაში...

ქართველი ხალხის ინტერესი კი ჩასძახის ამ ფანტაზიორებს, რომ მიუცილებლად საჭიროა დღევანდელი სახის ევროპისაგან გამოთხოვა იმ ,,სიკეთისა'', რომელიც ჩვენს რესპუბლიკას არსებობის მოტივს მიანიჭებს და შესაფერისად აამოქმედებს ერის სახელმწიფოებრივ პოტენციას. მაშასადამე, საქართველოს მმართველი წრეები მთელის ენერგიით უნდა ჩაჰბმოდნენ მუშაობის ამ მხარეს იმ თავითვე.

საქართველოს მმართველები ერთა ლიგის გარეშე ცდილობდნენ რესპუბლიკის საკითხის გადაჭრას. „ბებერმა ევროპამ" იცის, რომ ახალი სახელმწიფო ვერ ახცდება ერთა ლიგის უკ ნასკნელ გარდაწყვეტილებას და ამ „სკეპტიკს" იხმობს ერთა ლიგის პირველ საზოგადო კრებაზე ჟენევაში. იქ დაისმის ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობის საკითხი და მის დადებით გადაჭრაზე განსაკუთრებით დამოკიდებულია იმ მოვლენის აღსრულება, რასაც ჩვენს საგარეო საქმეთა მინისტრს პარიზში შეჰპირდა საფრანგეთის მთავრობის სახელით ბატონი ლეიგი.

## ყარსი დაეცა.

ყარსი დაეცა! ქემალ ფაშას ჯარებმა ჩვენი მეზობელ სახელმწიფოს საზღვრები გადმოლახეს და სომხეთის უძლიერესი სიმაგრე აიღეს! ქემალ-ფაშას ჯარები ჩვენს საზღვრებს უახლოვდებიან.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მეზობელი სომხეთი ყოველ ღონეს ჰხმარს რათა ჯეროვანი პასუხი გასცეს გათამამებულ ოსმალო ავანტიურისტის იერიშებს; უბედურების წინ დამდგარი სომხეთის ხალხი ამოსწურავს მთელ თავის ძალებს, მტრის ასალაგმავად. მაგრამ ჩვენ მაინც საჭიროდ მიგვაჩნია ჯეროვნად დავაფასოთ შექმნილი მდგომარეობა და საქართველოს ხალხს ნამდვილი მდგომარეობა ვამცნოთ:

ქემალ-ფაშას ჯარები ძლიერი წინსვლით მოდიან და სომხეთზე გამარჯვებული ოსმალო, საქართველოს საზღვრებთან არ გაჩერდება.

საქართველოს წინაშე, ახალი და დიდი განსაცდელი სდგება: ომი ოსმალეთთან!

ახალგაზრდა რესპუბლიკა, უჩვეული არ არის კარზე მომდგარი საფრთხის —თავის დამოუკიდებელი არსებობის ორი წლის განმავლობაში, მან უკვე რამოდენიმე ომი გადაიტანა და დამარცხებული იგი ბრძოლის ველიდგან არ გამოსულა! გამარჯვება თან სდევდა ყოველთვის ჩვენს სახელოვან ლაშქარს და ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ომის ბედი არც ეხლა უღალატებს მას.

მაგრამ საქართველოს ჯარები მამაცად და ერთგულად იდგებიან საქართველოს საზღვრებზედ მხოლოდ მაშინ როცა მათთან იქნება საქართველოს მთელი ხალხი, განურჩევლად ეროვნებისა მიმართულებისა და მდგომარეობისა.

ყველამ ვისაც კი რამე შეუძლია საქართველოს თავდაცვის სამსხვერპლოზე უნდა მიიტანოს.

მტრის იერიშებს ჩვენ უნდა წინდაუყენოთ მთლიანი საქართველოს ერთსულოვნება და ჩვენც ვიწვევთ მთავრობას მტკიცეთ დადგეს საქართველოს თავდაცვის გზაზედ.

საქართველოს დამოუკიდებლობას ქართველი ხალხი არავის დაუთმობს!

## მოუფიქრებელი პროექტი.

(სამხედრო სასამართლოზე.)

როცა ჩვენი სოციალ-დემოკრატები სამხედრო საქმეებზე მსჯელობენ, იგინი ჩვეულებრივ წინდაუხედველობას, უმეცრებას და უარყოფს რეალურ სინამდვილისას იჩენენ. მათი დოქტრინერობა ამ ფრიად საყურადღებო საქმეში, როგორც არის სახელმწიფოს დაცვა გარეშე და შინაგან მტრებისაგან იქამდის მიდის რომ მზად არიან შესწირონ თავის სოციალისტურ მკვდარ დოგმებს სამშობლოს უზრუნველყოფა, მიუხედავად იმ კრიტიკულ მდგომარეობისა, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკა ამ ჟამად განიცდის.

რამოდენიმეჯერ გარეშე გარემოებებმა მწვავედ დაგვანახვეს, რომ მანამდინ ჩვენი ახალგაზრდა და სუსტი რესპუბლიკა არ განიმტკიცებს თავის პოლიტიკურ უდავო არსებობას,—ყოვლად შეუწყნარებელი და უდროვო იმისთანა კითხვების წამოყენება, რომელნიც ძირს უთხრიან ჩვენი შეიარაღებულ ძალების შედგენილყოფას. პირიქით, ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ შეუპოვარ მსოფლიო შუღლში თავი შევინარჩუნოთ და ულმობელად არ გავიქელიტოთ. ყველასათვის ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ ვეშაპიები დროს ხმალს ქარქაშიდან ამოიძრობენ, და არა ქარქაშში სდებენ, რომ ჩვენ ყოველ საათს, ყოველ წამს, ცხადად თუ ფარულად, დაუძინებელი მტერი დაგვეჯავს გვიქადის

და სწორედ ამ კრიტიკულ ჟამს იუსტიციის მინისტრმა განიზრახა სამხედრო სასამართლოების მოსპობა... რა მოხდა ისეთი, რომ ეს საკითხი მორიგ საკითხად დაისვა? ნუ თუ უფრო საჭირბოროტო საკითხი ვერ აღმოაჩინეს იუსტიციის სამინისტროში და პირველად სტაცეს ხელი სამხედრო სასამართლოს?, პასუხს ვერ მიიღებთ, ვინაიდან სოციალ დემოკრატების მოქმედებაში სისტემის ძებნა უიმედო საქმეა.. მათი პირველი მიუტევებელი ცოდვა სამხედრო საქმეში ის იყო, რომ სამი წლის განმავლობაში არამც თუ არ გააერთიანეს სხვა და სხვა გვარის შეარაღებული ძალები ერთ მტკიცე ორგანიზაციად, არამედ სამხედრო თვალსაზრისით ყოვლად მიუღებელი დაყოფა ჯარისა ორ თითქმის შეურიგებელ ბანაკად დააკანონეს ფაქტიურად. მეორე ცოდვაა— სამხედრო სასამართლოების გაუქმების საკითხი.. დიდი ხანია, რაც სოციალ-დემოკრატები სამხედრო სასამართლოს უმიზეზოდ ემტერებიან. ძველი რეჟიმის სამხედრო სასამართლოს მოგონება მათ მოსვენებას არ აძლევს, დრო გამოშვებით ეჩუქრებოდნენ მერე ბ. მ. რამიშვილის სამხედრო მინისტრობის დროს დაინახეს, რომ სამხედრო სასამართლო ვერთომ არ შეეფერება სამხედრო უწყებას და გადაიყვანეს იუსტიციის სამინისტროში.— ეს აშკარა შეცდომა იყო. ყოფილი იუსტიციის მინისტრი ბ. გეგეჭკორი წინაამღდეგი იყო მაგრამ რა ექნა,—ამას მოითხოვდა სოციალ დემოკრატების პარტიის პროგრამა.. ნიადაგ დაკარგული სამხედრო სასამართლო ეცნაურ მდგომარეობაში ჩავარდა: ერთის მხრით იგი სამხედრო უწყებას ემსახურებოდა, როგორც სამხედრო მართლმსაჯულების დამცველი, მეორეს მხრით ნომინალურად ირიცხებოდა იუსტიციის სამინისტროში, სადაც ზედმეტი ხიდი იყო. ამისთანა არა ბუნებრივ არევას, რომლის მსგავსს მაგალითს ვერსად ვერ მოსძებნით, რასაკვირველია, გასწორებას მოითხოვდა, ე. ი. ძველი მდგომარეობის აღდგენას. მაგრამ მოხდა მოულოდნელი რამე: ბ. არსენიძის კურთხევით შემუშავებულ იქმნა სწორედ ზღაპრული პროექტი სამხედრო სასამართლოების მოსპობისა და სამხედრო საქმეების განხილვისა საერთო სასამართლოების—მიერ.

არ ვიცით ნამდვილად, რა მოტივით ხელმძღვანელობდენ ამ პროექტის მომხრენი, მხოლოდ მოვალეობათ ვსთვლით მოვაგონოთ მათ, რომ გადამდგმელი ნაბიჯი არამც თუ მოუფიქრებელია, მიუწონელი, არამედ პირდაპირ საშიშიც ჩვენ ჯარისთვის, რომელსაც დიდი ხანი არ არის, რაც წესიერი მოწყობა დაიწყო.

სოციალისტები ისე უყურებენ ომს და მის იარაღს—ჯარს, როგორც ისეთ მოვლენას, რომელიც მათ ნებას ემორჩილება! მართალია ომი სასიქადულო რამე არ არის, მაგრამ იგი აუცილებლად ხდება ამა თუ იმ პირობებში. სახელმწიფო, თუნდაც ნეიტრალური, იძულებული ხდება იძროს ხმალი, თუ მას არსებობას, ან სხვა სასიცოცხლო ინტერესებს ემუქრებიან..

როდის მოისპობა ხალხთა შორის სასისხლო ცილობა!?.

ვლადიმერ სოლოვიოვი ამაზე სწერდა: ,,სანამ ადამიანების გულში კაენის გრძნობები არ გაჰქრება, ჯარის კაცი და ,,გოროდოვოი'' სიკეთე იქნება'' ო. ამიტომ, მანამდი ეს ბედნიერი დრო დაგვიდგება, ჩვენ წმიდა მოვალეობად მიგვაჩნია, რომ ჩვენ ლაშქარს მივცეთ მეტი ძალ-ღონე, რომ იგი გადაგვარებულ არ იქნეს სათემშო ან პარტიულ ორგანიზაციად, არამედ იყოს გამომხატველი ჩვენი ეროვნული ენერგიისა..

ჯარი უნდა იყოს გამჭვალული ერთის ნებით, ერთის მისწრაფებით და ამისთვის საჭიროა ეგრედ წოდებული სამხედრო დისციპლინა, მცნება, რომელიც არ მოსწონთ სოციალისტებს. მაგრამ ურომლისოდაც ჯარის არსებობა შეუძლებელია.

უკვე გ მოცდილია, რა გვარ ორგანიზაციას მოითხოვს ჯარი. ხალხიდან წარმომდგარი, იგი უსათუოდ განცალკევებულ ორგანიზმად უნდა გახდეს ვინაიდან თავის დანიშნულების აღსრულებისათვის არა ჩვეულებრივ პირობებში უნდა იმოქმედოს, ისეთს პირობებში, რომლის მსგავსს ირეგულიარულ სამოქალაქო ცხოვრებაში ვერა ვპოებთ.

იერარქიული წყობილება, დამორჩილება ერის ნებისყოფლობას, ერთს უზენაეს პირს ან ხელისუფლებას, განსაკუთრებული სამხედრო მართველობის და სასამართლოს აპარატი, ყველა ეს მჭიდროდ შეკავშირებული დისციპლინით, აი ის აუცილებელი პირობები, ურომლისოდ ჯარი ვერ შეასრულებს ღირსეულად თავის დანიშნულებას. რასაკვირველია ამ პირობებს, როგორც ბუნებრივი შედეგი,—უნდა მოჰყვეს განსაკუთრებული იურიდიული ნორმები. გამოაცალეთ მოყვანილ პირობებიდან ერთი მათგანი, მაშინვე ჯარი იწყებს დეზორგანიზაციას.

ადვილი წარმოსადგენია, რა აბსურდი იქნებოდა თუ რომ სამხედრო ადმინისტრაციიდან გამოვყოთ შტაბები და გადავიტანოთ, მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტროში და მერე მოვიწადინოთ მათი გაუქმება, და ჯარის მართველობა მივანდოთ იმავე სამინისტროს მოხელეთ. იქაც შეიძლება შეადგინონ სტრატეგიული გეგმები, მაგრამ ვაი იმ გეგმებს! ან წარმოვიდგინოთ, რომ ჯარების მომარაგება მივანდოთ მომარაგების სამინისტროს,—უეჭველია ჯარი შიმშილით ამოწყდება... სამხედრო სასამართლო რომ გამოვაცალოთ, ჯარი დაკარგავს პასუხისმგებლობის შიშს და ამასაც მოჰყვება დისციპლინის შესუსტება, ჯარის გახრწნა და ზნეობრივი დაცემა. მაგრამ ამაზე სრულიბით არ ფიქრობენ სოციალ-დემოკრატები.

მათთვის სამხედრო სასამართლო არა დემოკრატიული დაწესებულებაა, ჯარის მოხელე, როგორც სხვა მოქალაქე, გასამართლებულ უნდა იქნეს საერთო წესით. ამბობენ, რომ სამხ. სასამართლოები ჯარის უფროსებისათვის არის გაჩენილიო? უკუღმართი ლოღიკა ეს არის ჩვენ ვამტკიცებთ, რომ არმიის ორგანიზაცია მოითხოვს სპეციალურ სამხედრო ნორმებს და ამ ნორმების დაცვა თავის მხრით მოითხოვს სამხედრო სასამართლოს. სულ ერთია ომიანობის თუ მშვიდობიანობის დროს.. საგანგებო პირობებში ჩაყენებული თავისუფალი მოქალაქე შეიძლება ვერ შეურიგდეს სასტიკ სამხედრო წესებს, ან საზოგადოდ ხრა ჩვეულებრივ წყობილებას, რომელიც მოითხოვს, რომ ჯარში შესვლისთანავე მოქალაქემ დროებით დაივიწყოს თვისი ნება, თვისი ორიგინალობა, პოლიტიკური მიდრეკილება და დაემორჩილოს ერთს, მის გარეშე მოქმედ ნებას. მაგალითად შესაძლებელია რომ ჯარში მყოფმა არ შეასრულოს მიღებული ბრძანება, რომელიც მისის აზრით უაზრისია, ან განგებ არ შეასრულოს რაიმე ბოროტ განზრახვით ან ბრძოლის დროს ლაჩრობა გამოიჩინოს და ბრძოლის ველი დასტოვოს, ან ტაქტიკური თუ სტრატეგიული გეგმა ვერ შეასრულოს, ან სიმაგრე მტერს დაანებოს და სხვა და სხვა. საქმე უფრო რთულდება, თუ სამხედრო ბოროტმოქმედებანი ჩადენილია მთელი რაზმისაგან. ყველა ამ შემთხვევებში მათი სწორი და ობიექტიური დაფასება შეუძლიან მხოლოდ იმისთანა სასამართლოს, რომლის შემადგენლობა სრულ გარანტიას წარმოადგენს იმისას, რომ ბოროტმოქმედება განხილული იქნება სპეციალურ სამხედრო თვალსაზრისით, ე. ი. რამდენად შეესაბამება ჩადენილი ბოროტმოქმედება სამხედრო სამსახურის მოთხოვნილებას. ამისთანა სასამართლოდ შეიძლება იყოს მხოლოდ ნორმალურად მოქმედი სამხედრო სასამართლო...

რა იმედი უნდა გვქონდეს, რომ მომრიგებელ მოსამართლემ (შეიძლება ქალი იყოს), ან საოლქო სასამართლომ, ნაფიც მსაჯულთა დახმარებით (მათ შორის ეხლა ნახევარზე მეტი ქალებია), ერთობ გამოუცდელნი სამხედრო საქმეში დააკმაყოფილებენ სამხედრო ინტერესებს? მათი განაჩენი შეიძლება იყოს ან მეტად სასტიკი, ან მეტად მსუბუქი, მაგრამ სწრაფი და მიზანშეწონილი არას დროს არ იქნება. მაშასადამე სამოქალაქო სასამართლოების მოქმედება სამხედრო სფეროში უნაყოფოდ დარჩება ამას რასაკვირველია მოჰყვება არა სასურველი შედეგები.

ნუ თუ მვგისავის ცდილობენ სოციალ-დემოკრატები.. შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ, და არც შევცდებით რომ მოყვანილი პროექტი, თუ იგი კანონად იქცა, დიდს ხანს ვერ იცოცხლებს; მის არსებობას მალე ბოლო მოეღება, როგორც ხანმოკლე იყო მაგვარი რეფორმა საფრანგეთში, დიდ რევოლიციის დროს.

არა, ბატონებო, დაანებეთ თავი ახირებულ პროექტს, რომლებსაც საფუძველი არა აქვს ჩვენ სინამდვილეში. ნუ შეახებთ ხელს მას, რაც ჩვენთვის საჭიროა. სამხედრო სასამართლო არის და უნდა იყოს ნორმალური სასამართლო როგორც საერთო სასამართლოები, მოქმედი განსაზღრულ ფარგლებში.. აჩქარება ამ საქმეში სახიფათოა! მერე გვიან იქნება... სამხ. სასამართლოები გაუქმების მაგივრად, უნდა დაუბრუნოთ იმ უწყებას, რომლის ორგანიულ ნაწილს იგინი წარმოადგენენ სამხედრო. სამხედრო სამინისტროს, სადაც (და არა იუსტიციის სამინისტროში, რომელსაც ეს საკითხი არსებითად არ შეეხება) შეიძლება მოხდეს მათი რეორგანიცაცია ახალ პირობათა მიხედვით.

ელი.

### დინასტიური ბრძოლა საბერძნეთში.

ყოფილ მეფის კონსტანტინეს მომხრეებს, როგორც ამბობენ განზრახული აქვთ საბერძნეთში ძალდატანებითი გადატრიალება მოახდინონ.

(ლიონის ცნობა).

### ინგლისი და საფრანგეთი.

თემთა პალატაში ჩემბერლენმა განაცხადა, ინგლისის და საფრანგეთის მთავრობათა გაუგებრობა გამოწვეულია იყო ბრიტანეთის მთავრობის ცნობის დადგენილებითაო.

## უცხოეთი.

### რუსეთ-ინგლისის სავაჭრო ხელშეკრულების პროექტი.

გაზ. ,,დეილი ჰეროლდი'' ს ცნობით ოქტომბრის 2 ს ბრიტანეთისა და საბჭოთა რუსეთის მთავრობა შეთანხმდენ შემდეგი პირობების გარშემო:

1) ყოველგვარი საქონელი, სამხედრო მასალებს გარდა, შეიძლება შემოტანილი და გატანილი იქნას რუსეთიდან.

2) ნაოსნობა ორივე სახელმწიფოთა შორის უზრუნველყოფილია საერთაშორისო უფლების ნორმებით.

3) საბჭოთა და ბრიტანეთის მთავრობას შეუძლიათ ურთიერთ შორის იყოლიონ სავაჭრო აგენტები ელჩის უფლებებით.

4) საბჭოთა მთავრობა ვერ შეეხება რუსეთში მცხოვრებ ბრიტანეთის ქვეშევრდომის ქონებას.

5) ბრიტანეთის მთავრობა ვერ შეეხება ბრიტანეთში მცხოვრებ საბჭოთა რუსეთის ქვეშევრდომის ბინებს.

6) საკითხი რუსეთის მეფის ვალის შესახებ გადაიჭრება მხოლოდ საზავო კონფერენციაზე.

### ანგორის მთავრობა.

ქემალ-ფაშას სახელმწიფოს მთავრობა შესდგება შემდეგი პირებისაგან: ,,მთავრობის თავმჯდომარე მთავარსარდალი—მუსტაფა ქემალი ფაშა. საგარეო საქმეთა,—ბექის სამი ბეი, შინაგანი საქმეთა,—რაფმაეტ ბეი, განათლების,—რიზა ნური, ფინანსების—აჰმედ ფერიდ ბეი, სამხედრო,—ფევზი ფაშა.

### ბრიუსელის საფინანსო კონფერენცია.

კონფერენციის უკანასკნელს სხდომაზე ირჩეოდა ფულის ტრიალის და თამასუქის კურსის საკითხი. ჰოლანდიის ბანკის დირექტორმა თავის ვრცელ მოხსენებაში აღნიშნა ერთად წოდებული რიცხობრივი თეორიის შეცდომა. სიძვირის მიზანი ფულის გამრავლება კი არ იყო, პირიქით ფულის ნიშნების გამრავლება საქონლის ფასის თანდათანობითი ზრდის პასუხი იყო. სიძვირის დაძლევა შეიძლება მხოლოდ ნაყოფიერების ზრდისა და ყველა მნიშვნელოვანი და აუცილებელი სასიცოცხლო საგნის და ნედლი მასალის შემოზიდვის საშუალებით, რისთვისაც საჭიროა ყველა ქვეყნის თანამშრომლობა. მაგალითად თუ ამერიკა განაგრძობს ევროპიდან ფულის გაზიდვას, დოლარის კურსის ზრდას საზღვარი არ ექნება, ვინაიდან ევროპა პირდაპირ უძლური იქნება აზარდოს. ნაყოფიერებას ვერ გააძლიერებს გაზიდვა ვიდრე მისი გადამხდელი ბალანსი ამერიკასთან ეროვგვარს წონასწორობას არ მიაღწევს. ამ ურთიერთობას შედეგად მოჰყვება აუცილებელი ისტორიისათვის უმაგალითო სამეურნეო რევოლიუცია, რომელმაც, შესაძლოა, მეტი მსხვერპლი მოითხოვოს, ვიდრე განვლილმა ომმა. იტალიელი ბენედუცი გამოვიდა მოხსენებით, რომლითაც მკაცრად ჰგმობს ერთი ქვეყნის მეორე ქვეყანაზე ყოველგვარს სამეურნეო და საეკონომიო ძალდატანებას.

ფრანგმა ავენოლმა მიუთითა, რომ კონფერენციის დადგენილებანი მტკიცედ უნდა განხორციელდეს ცხოვრებაში.

სასტიკი ეკონომიისა და ფულის დარგში წესიერების შესაქმნელად საჭირო მტკიცე ნებისყოფის გარეშე არავითარი იმედი არ არის, საერთაშორისო საკრედიტო ურთიერთობის განახლებისათვის.

## დეპეშები.

### ს. დ. ს. საინფ. ბანკ. ცნობები.

სომხეთი.

სტამბოლი. ,,ჟურნალ დ'ორიან'' იუწყება: რომ სომხეთში თითქმის ალაიწვება კვერცხები, ერბო, რძე, და ყველი. ბინის კრიზისის გამო გადაწყვეტილია გადასახლონ ყველა ლტოლვილები.

### ოსმალო ტყვეები.

ოსმალეთის ... ინგლისის კომისარს თხოვნით ხელი შეუწყოს ციმბირიდან ოსმალო ტყვეების დაბრუნებას. განზრახულია ოსმალები იაპონიით გამოატარონ.

### ოსმალეთი და ბულგარეთი.

— ოსმალეთსა და ბულგარეთის მთავრობებს შორის მოხდა შეთანხმება, რომლის ძალითაც ოსმალეთს უნდა დაუბრუნდეს ის რაზმები, რომლებმაც დაგახეს ბულგარეთის საზღვარი იმ დროს, როდესაც საბერძნეთის ჯარებმა თრაკია დაიკავეს.

### ლატვია და ესტონეთი.

ბერლინი. ბერლინელ ტაგებლატი იუწყება: ლატვიასა და ესტონეთში დიდი სახელი აქვს სოციალისტ მენშევიკებს. კომუნისტებს მეტად მცირე თანამგრძნობნი ყავთ. ესტონეთში ერთი ბოლშევიკური გაზეთი არ არსებობს. აქ შემოაქვთ ბოლშევიკური გაზეთი ,,ვპერიოდ'' რომელიც რუსეთიდან იბეჭდება ესტონელები მტკიცედ სდგანან თავის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე.

### ბრიტანეთი და სპარსეთი.

ლონდონი. ,,ტაიმსში'' დაბეჭდილია სპარსეთიდან მოსული ინგლისელის წერილი, ამ წერილში, სხვათა შორის ნათქვამია: ჩვენი სპარსეთიდან გამოსვლა დიდ ბრიტანეთს ვნებას მოიტანს. ამ ცოტა ხნის წინად ბრიტანეთის პოლიტიკა სპარსეთში უფრო დიდი კაცი იყო, ვიდრე ქალაქის გუბერნატორი.

### ჩინეთი და საბჭოთა მთავრობა.

მოსკოვი. მოსკოვში გენ. ჩანლინის მეთაურობით ჩინეთის სამხედრო დიპლომატიური მისია ჩამოვიდა. ,,პრავდის'' ცნობით მისიის მიზანია საბჭოთა რუსეთის გაცნობა და მასთან ნორმალური პოლიტიკური და სავაჭრო კავშირის დამყარება. არის სიის წევრებს და ჩიჩერინს უკვე რამოდენიმე თათბირი.

### ბოლშევიკების დელეგატების მოკვლა.

— ,,იზვესტია'' იუწყება: აღმოსავლეთ ხალხების კომუნისტურ ორგანიზაციის ცენტრალურმა ბიურომ მიიღო ცნობა, რომ აღმოსავლეთის ხალხების ყრილობის დელეგატები სპარსეთში ბრუნდებოდნენ ზადე, ზ ინალი და აბდულ-ა... სპარსეთის საზღვრის გადასვლის დროს შეიპყრეს და მოკლეს სპარსეთის ჟანდარმებმა.

## ,,ზიბის'' ცნობები.

### საფრანგეთი და რუსეთი.

რომი ნოემბრის 2. იტალიის ... ჟურნალ-პრესა დიდ ყურადღებას აქცევს დღეს რუსეთ საფრანგეთის ურთიერთობას. ყველა ცნობილი იტალიელი პუბლიცისტი შემდეგს ამბობს: საფრანგეთმა ხელი უნდა აიღოს იმ ოცი მილიარდ ვალზე, რომელიც ძველ რუსეთს მართებს და მთელი თავისი ძალით წინაღუდგეს ბოლშევიზმის გავრცელებას ევროპაში.

### მდგომარეობა ყირიმში.

ბ ა თ უ მ ი. გენ. ვრანგელის ჯარის მდგომარეობა კრიტიკულია, მაგრამ ... ნიკას ჯერ მაინც არა აქვს ... იმედი აქვთ, რომ საფრთხეს თავიდან აიცდენენ. ფრონტს თანდათან ... მეომრები. უცხოეთიდან საკმაოდ მოდის საქონელი. ინგლისიდან და ფრანგეთიდან საზამთრო ტანისამოსი მოელიან ჯარისთვის.

## რუსეთის ცნობები.

### გაფიცვები ტრანსილვანიაში.

მოსკოვი. ნოემბ. 3 ტრანსილვანიის გაფიცვებმა საერთო ხასიათი მიიღო. მაღაროები შეეცადენ მაღაროების ... ქანების დამტვრევას. სოციალისტები ... ტიმრებენ.

### ხავშთა თავშესაფარი.

დეკემბრის 1 მოსკოვში იხსნება ... შთა უზრუნველყოფის ინსტრუქტორების მოსამზადებელი კურსები. ვიტებსკის ... ატკის, ეკატერინბურგის, მოსკოვის ნიჟეგოროდის, პეტროგრადის და ... კის გუბერნია გზავნის, ხუთ-ხუთს ... ნარჩენი კი ორ დელეგატს.

ტაშკენტის რკინის გზებზე ... ლაქო ომის დროს დაინგრა ... ქდა 140 ხიდი მათ რიცხვში ... და სხვა ეხლა სწრაფად ... ალსადგენათ. დიდი მუშაობა ... ტელეგრაფის დამოკიდებულების ... გენას. ამ ჟამად მოწესრიგდა ... დამოკიდებულება მოსკოვ ტაშკენტის ... რის. წითელ ჯარს ესაჭიროება ... ლები. სახ. კომის. საბჭომ გამოსცა დეკრეტი, რომლის ძალით ყველა ... ლაქე 16 წლ. 45 წლამდე მოვალეა ...

აწეროს შრომის ბეგარაში წითელი ჯარისათვის საცვლების დასამზადებლად.

იტალიის სოციალისტები იმარჯვებენ საქალაქო არჩევნებში იტალიის ქალაქთა უმეტესობას ეყოლება სოციალისტური გამგეობა.

### ანტიბოლშევიკური ფრონტი.

**მოსკოვი.** ნოემბ. 2 „პრავდა" მოწინავე წერილში სწერს: პოლონეთთან ზავის დადების შემდეგ ყველა შავრაზმელმა თავი მოიყარა ბარონ ვრანგელის გარშემო. ბალახოვიჩის ჯარს პოლიტიკურ ხელმძღვანელათ ყავს ყოფილი ესერი სავინკოვი. ვრანგელის სამხრეთის ჯარს ხელმძღვანელობს ცნობილი კლიმოვიჩი. სავინკოვმა გამოუშვა მოწოდება, რომელშიც აცხადებს: მოხალისეთა ჯარი იბრძვის ზავისა, მიწისა და დამფუძნებელი კრებისათვის გენ. ბალახოვიჩი იბრძვის თავისუფალ დემოკრატიულ რუსეთისათვის.

გენერალმა და მემამულეებმა იციან, თუ როგორ სწყურია ზავი მშრომელთა მასას. მათ ყოველივე ზომა მიიღეს და იბრძვიან მშრომელთა განსათავისუფლებლად. საზღვარ გარეთ დარცხვენილია ანტიბოლშევიკური პრესა.

ვრანგელის მინისტრის ყოფილ მეფის „ოხრანიკის" დანიშვნის გამო, ვრანგელმა განაცხადა, რომ იგი ბოლომდის იბრძოლებს. დღევანდელი დღის მიზანია დავაჩქაროთ (დამახინჯებულია)..... ვრანგელმა.. (გამოტოვებულია) სავინკოვი, დაუკავშირა რა კლიმოვიჩს. შესდგა ერთი შესამტკბილებული წრე, რომელსაც არავითარი ნდობა არა აქვს მშრომელ მასაში. თეთრგვარდიელთა გემი იძირება ბლაგომიროვებით, მახნოვებით და კლიმოვიჩებით, ჩვენ უნდა დავეხმაროთ, რომ სულ ჩაიძიროს ეს გემი რათა მშრომელ ხალხს მოვაცილოთ გენერლები და ოხრანნიკები.

## ლიონის ცნობები.

### მინისტრთა საბჭოს სხდომა.

მინისტრთა საბჭოს სხდომა შესდგა სამშაბათს ალ. მილიერანის თავმჯდომარეობით. ჟორჟ ლეიგა დაასურათა მდგომარეობა საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით და მისი წინადადებით ლეონ ბურჟუაზიამ... (გამოტოვებული) პროექტი ეხება 30,000 ფრანკის კრედიტების გახსნა... დამახინჯებულია).

### ელჩთა კონფერენციის სხდომა.

ელჩთა კონფერენციის სხდომა შესდგა სამშაბათს ჟიულ კამბონის თავმჯდომარეობით. განიხილეს მოხსენება დანციგის და პოლონეთის წარმომადგენელთა მოლაპარაკების შესახებ. მოლაპარაკება სასურველად მიმდინარეობს.

### მეფის საკითხი საბერძნეთში.

„დება" სწერს: ვენიზელოსმა გუპარისის მიერ კონსტანტინეს სასარგებლოთ შედგენილ კომპანიის შესახებ სთქვა: საბერძნეთის ხალხს სურს მეფე, რომლის უფლებას არავინ შეეხება, რეაქციონერებს პრინც პავლეს უფლებაში ეჭვი შეაქვთ და ამიტომ ლიბერალურ პარტიას სურს ეს საკითხი საზოგადოებრივი აზრის მიხედვით გადასწყვიტოს.

## გერმანული ცნობები.

### მაღაროების ნაციონალიზაცია.

ქვანახშირისა და ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე მაღაროების ნაციონალიზაციის შესახებ საპროგრამო სიტყვა წარმოსთქვა ჰუგო შტინსმა, რომელმაც აღნიშნა, რომ გერმანიის საქონლის გაც.-გამოც. აღორძინების საკითხი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია და მრეწველობის საქმე სავსებით ქვანახშირის მოწოდებაზეა დამოკიდებული. მან საჭიროთ აღიარა ქვანახშირის და მუშავების გაძლიერება. ეს არის ერთად ერთი საშუალება მილიონების გადასარჩენად და სამოქალაქო ომის თავიდან ასაცილებლათ. ორატორმა საუკეთესო ღონის ძიებათ მიიჩნია სოციალიზაცია და მომხმარებელთა კავშირის შექმნა. პაების უმრავლესობა სახელმწიფოს, ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას უნდა ეკუთვნოდეს. მან ასეთ ღონისძიებათა მიღება საჭიროთ მიიჩნია განსაკუთრებით ელექტრონის ტრანსპორტისა და სხვა ყოველგვარ სამრეწველოებში.

### სამეცნიერო კავშირი.

გერმანიის სამეცნიერო აკადემიამ, უნივერსიტეტმა და სხვა უმაღლესმა სასწავლებელმა საერთო დაღარიბების პირობების გამო შეადგინეს გერმანიის სამეცნიერო დაწესებულებათა კავშირი. კავშირის პირველი სხდომა შესდგა შაბათს ბერლინში. ეს კავშირი დანიშნავს 19 შინა კომისიას, რომელიც გამოიმუშავებს საკუთარ ბიუჯეტს. კავშირის თავმჯდომარეთ აირჩიეს განათლების ყოფილი მინისტრი შმიდტი, თავმჯდომარის ამხანაგათ კი პროფესორი დიკი და დალემი.

## ყარსი დაეცა!

**ხმელეთის მინის ოფიციალური ცნობა**

ოთხი დღის სასტიკ ბრძოლისა და სისხლის ღვრის შემდეგ, ოქტომბრის 31 ს, ოსმალთა ჯარებმა, რომელთაც თვალსაჩინო ძალა მოემატათ, დაიპყრეს ყარსი. სომხეთის რესპუბლიკის ჯარები განუწყვეტელის ბრძოლით იხევენ გუმბრის რაიონისაკენ.

# ქრონიკა.

### სამინისტროებში.

— **ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოდან.** კანონების გადამსინჯავ კომისიამ დაასრულა განხილვა კანონ-პროექტისა ეკლესიის სახელმწიფოდან ჩამოშორების შესახებ. 5 მუხლის გარდა, რომელიც უკვე გამოქვეყნებული იყო საქართველოს დეპეშათა სააგენტოს მიერ, დამატებით კიდევ მიიღოს 19 მუხლი. სხვათა შორის მერვე მუხლში აღნიშნულია, რომ ერთი წლის განმავლობაში ამა კანონ-პროექტის გამოქვეყნებისა მთელი მოძრავი და უძრავი ქონება, რომელიც კი ეკლესიებს და მონასტრების ხელშია, იმ მიწების გამოკლებით, რომელთაც თანახმად აგრარულ კანონისა კონფისკაცია ეხება, გადადის იმ რელიგიურ საზოგადოების განკარგულებაში, რომელიც კანონიერი გზით შეიქნა იმ სამრევლოში, სადაც ეს ქონება იმყოფება. ამავე საზოგადოებათა ხელში გადავა შენობები და მასთან ერთად მოსამსახურეები, რომლებიც ამ სარწმუნოებას მღვდელთ მსახურებენ. მეცხრე მუხლის ძალით ის შენობები, რომლებსაც ისტორიული და მხატვრული მნიშვნელობა აქვს მთელი თავისი უძრავი და მოძრავი ქონებით გადაეცემა სახელმწიფოს. ეს ქონება განათლების სამინისტროს ხელში იქნება, სახალხო განათლების სამინისტროს ევალება ამ კანონის გამოქვეყნებიდან ერთი წლის შემდეგ შეადგინოს ამგვარ შენობათა სია და მთავრობას წარუდგინოს დასამტკიცებლად, მე-2 მუხლი აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ქონების გადაცემა სხვა და სხვა მიზეზების გამო არ მოხდა განსაზღვრულ ვადაში, იმ შემთხვევაში ეს ქონება გადავა ადგილობრივ სამმართველოს ორგანოთა განკარგულებაში, სადაც კი ეს ორგანოები არ იქნება ის ქონება დროებით გადავა ადგილობრივ ადმინისტრაციის ხელში. ყველა დავა, რომელიც კი შეიძლება ასტყდეს რელიგიურ საზოგადოებათა შორის გადასწყდება საოლქო სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებაში. მე-13 მუხლი აღნიშნავს: დაშლილად ჩაითვლება ის რელიგიური საზოგადოება, რომელიც თავის მღვდელ-მსახურებს ერთი წლის განმავლობაში უმიზეზოთ არ შეასრულებს. მე-14 მუხ. ძალით შეიძლება დაიხუროს ის რელიგიური საზოგადოებანი და მათი კავშირები, რომლებიც თავის მიზნებს აღარ ემსახურებიან, ან საქართველოს საზარალო მუშაობას ეწევიან, საზოგადოების დაშლა, ან და მისი კავშირების დახურვა იქნება შიდევგი საოლქო სასამართლოს სამოქალაქო განყოფილების გადაწყვეტილებისა. საოლქო სასამართლოში საქმის აღძვრა შეუძლია დაინტერესებულ საზოგადოებებს და შინაგან საქმეთა სამინისტროს. მე-17 მუხ. რელიგიურ საზოგადოებას და მათ კავშირებს უფლება ეძლევა სწავლებისა და ქველმოქმედებისა. მე 20 მუხლის ძალით სახელმწიფოს უფლება აქვს რევიზია გაუწიოს რელიგიურ საზოგადოებათა შემოსავალს და გასავალს. ამიტომ ყოველი წლის ბოლოს რელიგიური საზოგადოებანი შინაგან საქმეთა სამინისტროს უნდა სწარუდგენ თავიანთ ფინანსიურ ანგარიშებს. ფული და სხვა ძვირფასეულობანი რელიგიურ საზოგადოებათა რომლებიც დღიდან არც ერთ საზოგადოებაზე არ ეხება, სახელმწიფო სათვალო დაწესებულებებში უნდა ინახებოდეს. (ს დ. ს.)

— **შრომის სამინისტროში.** შრომის სამინისტრომ განმარტა, რომ ერთ და იმავე პირს ორ სხვა და სხვა სამსახურში არ შეუძლია ისარგებლოს ერთ და იმავე უფლებით ესე იგი მიიღოს მომატება, სურსათ-სანოვაგე, სალიკვიდაციო და სხვა. ერთი სამსახური უნდა ჩაითვალოს ძირითადათ, სხვა კი უნდა ჩაითვალოს ზედმეტ შემოსავლიან წყაროდ. თუ დათხოვა ხდება ძირითად სამსახურიდან ამ შემთხვევაში მუშები და მოსამსახურეები სარგებლობენ ყველა იმ უფლებით, რომელთაც აძლევთ მათ კანონი შრომის ხელშეკრულების შესახებ.

— **იუსტიციის სამინისტროში.** სასამართლოს ბოქაულების ჯილდო. იუსტიციის სამინისტროსთან არსებულმა სამოქალაქო კანონთა გადამსინჯავმა კომისიამ განიხილა და დაამტკიცა კანონპროექტი სასამართლოს ბოქაულთა ჯილდოს გადიდების შესახებ. თანახმად კანონ-პროექტის 15 მუხლისა, დადგენილი განსაზღვრულ ჯილდოს აღება სასამართლოს ბოქაულს შეუძლია იმ პირისაგან, რომლის მოთხოვნილებითაც მან შეასრულა ესა თუ ის საქმე.

— **მიწად-მოქმედების სამინისტროში.** სატყეო განყოფილებაში. მიწად-მოქმედების სატყეო განყოფილებამ დაადგინა: 1) გადასცეს შორაპნის ერობას ფარცხნალის აგარაკი, როგორც შორაპნის რაიონის ტყის გამგემ წაიკითხა მოხსენება მცხოვრებთა ნაწილის სხვა ადგილებში გადასახლების გზით ტყის შენახვის შესახებ. ამის შემდეგ განყოფილებამ დაადგინა: ვინაიდან მცხოვრებლები არ არიან უზრუნველყოფილნი მიწით, და არც არის საშუალება მიეცეს მათ აქ საჭირო მიწა, აუცილებელია მცხოვრებთა შორის ფართო აგიტაციის გაწევა იმ მიზნით, რომ მცხოვრებლების ნაწილი მაინც გადაესახლოს სასოფლო მეურნეობისათვის სხვა გამოსადეგ რაიონებში. ეთხოვოს გადამსახლებელ განყოფილებას მიიღოს ზომები გადაასახლოს მცხოვრებნი პირველ რიგში ხარაგოულისა და ლელოვანის რაიონებიდან. ტყის მეურნეობის მხრივ ნაკლებ მნიშვნელოვანი ადგილები უნდა დაურიგდეს ადგილობრივ მცხოვრებლებს, დაარიგებს თემები მიწად-მოქმედების მინისტრის ნებართვით.

ფარცხნალის აგარაკის (რომელიც შორაპნის ერობას გადაეცა) ექსპლოატაციამ უნდა მისცეს ადგილობრივ მცხოვრებთ მუდმივი სამუშაო, რითაც ბევრად შემცირებული იქნება თავისუფლებით ტყეების ჩეხვა. ამასთანავე გადაწყდა მიმართონ თხოვნით საბაზრო ერობას და თემებს მიიღონ ზომები მათ წინაშე იმდენად ვინც ანადგურებს ტყეს, და აგრეთვე გაწიონ ფართო აგიტაცია, რათა ადგილობრივ მცხოვრებთა ნაწილი გადაესახლოს მათთვის მიჩნეულ სხვა რაიონებში, რასაც სატყეო განყოფილება სავსებით უფრო რაციონალურ და ერთად-ერთ ნორმალურ ზომად ადგილობრივ მცხოვრებთა მძიმე პირობებიდან გამოსაყვანად.

### დამფუძნებელ კრებაში.

— **დამფუძნებელ კრებაში.** დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე დაბრუნდა დასვენებიდან და შეუდგა თავისი მოვალეობის ასრულებას.

ა. წ. 2 ნოემბერს ალექსანდრე ლომთათიძის თავმჯდომარეობით პრეზიდიუმის დარბაზში შესდგა პრეზიდიუმის, ფრაქციათა და კომისიების თავმჯდომარეების შეერთებული თათბირი დამფუძნებელი კრების მუშაობის განახლების საკითხის გამოსარკვევად და თათბირმა დაადგინა, რომ, თუმცა უამინდობის გამო სასახლის რემონტის დასრულება გაჭიანურდა, დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა მუშაობის განახლებისათვის დაინიშნოს ა. წ. 9 ნოემბრის, შუადღის 12 საათზე.

### ერობებში.

— **ერობის ცხოვრება.** ერობათა კავშირმა სამაზრო ერობებს მიმართა ცირკულიარით, რომ მათ გამოგზავნონ ცნობები, რომლებიც შეეხება საექიმო და სასანიტარო საქმეებს. ეს ცნობები საჭიროა საერთო სტატისტიკურ მიმოხილვის შესადგენად. ერობათა კავშირი აღნიშნავს, რომ 1920 წელი უკვე გადის, მაგრამ საექიმო სასანიტარო განყოფილებაში შავი ჭირის და სხვა გადამდები სენთა მსვლელობის შესახებ ცნობები ძლიერ ცოტა არის შემოსული. ასეთი ცნობები საექიმო-სასანიტარო განყოფილებაში უნდა იგზავნებოდეს ყოველკვირეულად, და შემდეგ ყოველ თვიურად, თანახმად ამ ცნობებისა შეადგენენ საერთო სტატისტიკურ მიმოხილვებს. ერობათა კავშირი სთხოვს ერობებს დაუყონებლივ მიაწოდონ მას ყველა ის ცნობები, რომლებიც ესაჭიროება შინაგან საქმეთა სამინისტროს საექიმო სასანიტარო განყოფილებას.

— **ახალციხე.** ოქტომბრის 30. (დ. ს. საქ. კორ.) ახალქალაქის სამაზრო ერობამ დაასრულა მოლაპარაკება ახალქალაქის სამაზრო ერობასთან ახალციხე-ახალქალაქ-ბოგდანოვკის შუა ბარგის გადმოტან-გადატანის საქმის მოწყობის შესახებ.

— ახალციხის მილიციის უფროსად დაინიშნა გ. დადიანი.

### კოოპერატივებში.

— **კოოპერატიული ცხოვრება.** ქალ. ტფილისის კოოპერატივთა კავშირის გამგეობას განზრახული აქვს გახსნას კოოპერატიული სასადილო და რესტორანი ამ განზრახვას მხარს უჭერს ს. კ. ც. კავშირი.

კოოპერატივთა კავშირის გამგეობამ მიიღო ცნობები ბორჩალოს მაზრის ნეიტრალურ ზონაში, სასოფლო სამეურნეო და რძის მეწველობის სანოვაგეთა დამზადების შესახებ. თბილისში უკვე შემოიტანეს რძის ნაწარმოები კოოპერატივთა კავშირის გასანაწილებლად.

ნოემბრის 14 შესდგება თბილისის კოოპერატივთა რწმუნებულების სხდომა ქ. ც. კ. ყრილობაზე დელეგატების ასარჩევად.

— **ნოემბრის 1.** (დ. ს. საქ. კორ.) ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეთ დაინიშნა ქუთაისის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე ლ. გრიგოლია.

### სხვა და სხვა.

— **გორის აღდგენა.** სატყეო განყოფილებაში განიხილეს გორის თვითმართველობის შუამდგომლობა ატენის ხეობიდან გორში დანგრეულ შენობათა აღსადგენად საჭირო ხე ტყის მასალის დათმობის შესახებ. სატყეო განყოფილება პრინციპიალურად დასთანხმდა ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე იმ პირობით, რომ ყველა ის ორგანიზაციები. რომლებიც გორის აღსადგენად მუშაობენ, შეუთანხმდნენ ტყის მეურნეობას, რომელსაც ხე ტყის საჭირო მარაგი ხანა აქვს.

— **რკინის გზელთა სასურსათო კომიტეტი.** რკინის გზელთა სასურსათო კომიტეტმა მომარაგების სამინისტროს 4 ვაგონი ქართოფილი გადასცა. ეს ქართოფილი დაურიგდებათ მუშებსა და მოსამსახურეებს.

კომიტეტი იღებს ზომებს პურის ღირსების გასაუმჯობესებლად. პურს ორჯერ გასცრიან. აგრეთვე გაუმჯობესებულია პურის ფორმები.

სასურსათო კომიტეტი შეუდგა რკინის გზელებისათვის ახალციხიდან მიღებულ ქართოფილის, კომბოსტოსა და და სხ. დარიგებას.

— **მარგანეცის ექსპორტი.** 1919 წ. დეკემბრიდან 1920 წ ოქტომბრამდე რესპუბლიკის საზღვრებიდან სულ გაუტანიათ 145.830 61 ტონი მარგანეცი. საშუალოდ ყოველ თვიურად საქართველომ მილიონი ფუთი მარგანეცი გაქონდათ. უმეტესი ნაწილი მარგანეცისა გატანილია ინგლისში სახელდობრ 75.135 ტონი, შემდეგი ადგილი უჭირავს იტალიას, სადაც 30.234.11 ტონი მარგანეცი არის გატანილი, შემდეგ ჰოლანდიას 19.971 ტონი, შემდეგ ბელგიას 8.642.5 ტონი, და დაბოლოს საფრანგეთს სადაც 2.327 ტონი გაუტანიათ. ამერიკაში და პოლონეთში 9 თვის განმავლობაში სულ გაუგზავნიათ 9.533.5 ტონი.

— **სამხედრო სასამართლოს სესია.** ნოემბრის 5-დან 19 მდე. სასამართლოს სესია არის დანიშნული. ამ დროის განმავლობაში, სხვათა შორის, განიხილავენ ახალციხის ფრონტის ყოფილ მთავარ სარდლის გენ. მაზნიაშვილის საქმეს. აგრეთვე გაირჩევა საქმე მისი შტაბის უფროსის ჯიჯიხიას. რომელსაც დაუდევრობა ბრალდება. გაირჩევა აგრეთვე სხვების საქმეც, რომლებსაც ბრალდებათ სამხედრო ბრძანებების აუსრულებლობა ახალციხიდან 1919 წ, თებერვალში უკან დახევის დროს. ბრალდებულთ იცავენ ნაფ. ვექ. მესხიშვილი, ბარათაშვილი, ჯავახიშვილი და სხვები.

— დღეს, საღამოს 7 საათზე, სახელმწიფო დრამის თეატრში დანიშნულია საგანგებო, სასწრაფო სხდომა დრამატ. საზ. გამგეობისა, რომელზედაც მოწვეულია ბ. განათლების მინისტრის ამხანაგი და დამფუძნ. კრებ. წევრი, ხელოვნების კომისიის თავმჯდომარე და ყველა წევრები. განსახილველია ქართული დრამის აწინდელი მდგომარეობა და მისი მომავალი. ყველას სთხოვენ გულმოდგინებით დაესწრონ, ვინაიდან თუ ეს სხდომა არ შესდგა და ზემოხსენებული საკითხი საბოლოოდ არ გადაიჭრა, ქართული დრამის წარმოდგენები უნდა შესწყდეს.

### შეცდომის გასწორება.

„საქართველო"ს გუშინდელ ნომრის, დეპეშაში „საქართველოს რესპუბლიკის საკითხი ერთა ლიგაში" ყველგან სადაც სწერია 20 სექტემბერი უნდა იყოს ოქტომბრის 20.

## რა ჯდება ლუკმა პური?

იყო დრო, როცა უგემრიელესი საჭმლის შესახებ ბლად იტყოდნენ ხოლმე „ისეთი გემრიელია, რომ ლუკმა აბაზი

---

ბ. გვაზავა

## ერთა ლიგა.

3*)

1. ეროვნული პრობლემა.
2. თეორია და სინამდვილე.
3. პრინციპი თვით გამორკვევისა.
4. უფლებრივი თვალსაზრისი.
5. მანდატერი.
6. გარანტია ეროვნულ თავისუფლებისა.
7. მოთხოვნილება ეროვნული „სრულწლოვანებისა".

როგორ არის გადაწყვეტილი ერთა ლიგის ხელშეკრულებაში ეროვნული პრობლემა?!

აი პირველი და უმთავრესი საკითხი, რომელიც თავისთავად იბადება, როცა ვლაპარაკობთ ლიგის ხელშეკრულებაზე თუ უმთავრესი მიზანი ერთა ლიგისა არის მშვიდობიანობის დამყარება ქვეყნიერებაში, უნდა გადაწყვეტილი იყოს ასე თუ ისე ეროვნული პრობლემაც, ვინაიდგან ერთერთი უძლიერესი ფაქტორი უთანხმოების, შეხლა-შემოხლის და ომისა იყო ყოველთვის საერთაშორისო ძალმომრეობა.

ძლიერი ერი იმონებდა პატარა ერს, მიჰქონდა მისი მიწაწყალი, მისი ავლა დიდება, ჰცდილობდა მის გარდაქმნას და გადაგვარებას. პატარა ერი, თუ იმას ჰქონდა ცოტაოდენი შეგნება თავის თავისა და თავის ინტერესებისა, რასაკვირველია, ებრძოდა ამ ძალადობას, ჰცდილობდა თავი დაეხწია ამ ეროვნული ძარცვა-გლეჯისაგან და შეენარჩუნებინა თავის მიწაწყალი და ნაყოფი თავის შრომისა. ამისთანა განწყობილებაში ყოველთვის ჰქუთქავდა ნაკვერჩხალი აჯანყების და ბრძოლისა. ეს ნათელჰყო მთელმა ისტორიამ. იტალიის და ისპანიის ომი, ისტორია ჰაბსბურგთა მონარქიისა, ბალკანეთის დაკავშირება, პოლონეთის ტრაგედია, ტრაგედია საქართველოსი და უამრავი სხვა მაგალითები უტყუარი საბუთია იმისა, რომ შეუძლებელია დაიმარხოს ერთა მუდმივი მისწრაფება თავისუფლებისაკენ, შეუძლებელია ამოიფხვრას იგი ხალხის გულიდან. მაშ ვინც ამბობს „მშვიდობიანობას", მან თავდაპირველად უნდა აღიაროს ეროვნული თავისუფლება.

მაგრამ... აქ იჩენა პრობლემის საშიშარი მხარეებიც. რა არის ერი? რა არის ეროვნული თავისუფლება?! რომელ ერს რა ზომის თავისუფლება უნდა მიენიჭოს? თუ ყოველი კაცობრივ ჯგუფს, რომელსაც კი აქვს თავისებური ენა, უნდა მიენიჭოს სრული თავისუფლება?!

საკმარისია თვალი გარდავავლოთ ქვეყანას, რომ შიშმა და ეჭვმა შეიპყროს გონება. დედა მიწა ბარ არის დიდი, მაზე ადგილები დიდი ხანია, რაც დაჭერილია, ხალხი სხვადასხვა ჩამომავლობის, სხვადასხვა ენის, კულტურის და განვითარებისა, ეხლებოდა ერთმანეთს, ხან ბრძოლით, ხან მშვიდობიანის გზით გადავიდა ერთი მეორის მიწაწყალზე; ზოგან დიდი ტალღებით, ზოგან პატარა პატარა ჭავლებით შედიოდა იგი და უერთდებოდა მეორე ხალხის ცხოვრებას. ბოლოს ჩვენ მივიღეთ ქვეყანა მეტად აჭრელებული... ვის უნდა მიეცეს ეროვნული თავისუფლება ამისთანა პირობებში? ყველას?—მაშინ დაიშლება ყოველი სახელმწიფო. არც ერთს?—მაშინ შეუძლებელია მშვიდობიანობა. სად არის გამოსავალი ამ დილემიდან?

სოციალური საკითხი მარტო თეორიულად ვერ გადაწყდება. სწორედ აქ არის შეცდომა სოციალისტებისა. ლამაზად აშენებული თეორია, მათ ჰგონიათ ურყევი ჭეშმარიტება და ჰცდილობენ პირდაპირ მის გატარებას ცხოვრებაში. არ ჰფიქრობენ იმაზე, თუ რამდენად შესაძლებელია რეალ პირობებში მისი გატარება. ბოლშევიკურმა მოძრაობამ ეს ნათლად დაამტკიცა.

განყენებული თეორია, ლამაზადაც რომ იყოს აშენებული, თუ ანგარიშს არ უწევს ცხოვრების პირობებს, ყოველთვის ჰმარცხდება, ყოველთვის ითხოვს უზომო მსხვერპლს და სისხლის ღვრას, და ბოლოს ისევე თეორიულად ჰრჩება და ცხოვრებაში ვერ ჰტარდება. ეროვნულ საკითხშიდაც სოციალისტებმა გამოაცხადეს პრინციპი ერთა თვითგამორკვევისა. ეს პრინციპი თეორიულად, რასაკვირველია, მისაღებია, მაგრამ პრაქტიკულად გაუტარებელი. თვით გამორკვევაზე ლაპარაკიც შეუძლებელია იქ, სადაც სულ არ არის ეროვნული თვით შეგნება, და ყოვლად უაზროა იქ, სადაც ერი საუკუნეთა განმავლობაში გამორკვეული იყო და არის. ასეთი პრინციპის გადასროლა ძალიან ადვილია, იგი შეიძლება მიზანშეწონილი იყოს სააგიტაციოდ სადემაგოგიოდ, მაგრამ უფლებრივად იმას არა აქვს აზრი და მნიშვნელობა.

პარიზის კონფერენცია დაადგა მხოლოდ უფლებრივ გზას. ერთა თვითგამორკვევაზე ლიგის ხელშეკრულებაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი. მაგრამ თუ გადავიკითხავთ მე 10, და 22 მუხლს, ჩვენ ნათლად დავინახავთ იმ ძირითად იდეას, რომელიც საფუძვლად უდევს ხელშეკრულებას. ამ მოწოდებიდან სჩანს, რომ ერთა თვით-გამორკვევა არ არის უარყოფილი, მაგრამ არც სავალდებულო პრინციპად არის იგი აღიარებული. ხელშეკრულების მსოფლიო მზერით, პრინციპი უნდა იყოს მხოლოდ უფლებრივი და არა მარტოოდენ განყენებული და თეორიული. თვით-გამორკვევა—ეს თავდაპირველად უფლებაა, და როგორც უფლება, შეიძლება, ზოგმა შეიძინოს და ზოგმა დაჰკარგოს. არიან ერები, რომლებშიაც საუკუნეთა განმავლობაში მედგარი ბრძოლით და თავგამოდებით განამტკიცეს თავისი ეროვნული მთლიანობა, დაიცვეს თავისი ტერიტორია და გაჰშალეს თავის სულიერი ძალა. აი ასეთ ერებს აქვსთ უფლება თვით გამორკვევისა. არიან სხვა ერებიც, მათ არა აქვსთ ასეთი წარსული, ვერ გამოუჩენიათ ჯერ კიდევ თავის ნიჭი და უნარი, მაგრამ მაინც მიესწრაფვიან თავისუფალ ცხოვრებისაკენ. აქვსთ ამისთანა ერებს უფლება თვითგამორკვევისა? უსამართლო იქნებოდა უარყოფა ამისთანა ერებისა და გამოცხადება, რომ იგინი უკვე წინდაწინ განწირულნი არიან. არიან კიდევ ერები, ან უფრო სწორედ, ჯური ხალხისა, რომლებიც კულტურულად ჰდგანან პირვანდელ საფეხურზე. აქ თვით გამორკვევაზე ამ დროებით მაინც ლაპარაკიც მეტია. როგორც ჰხედავთ, ამ საკითხში გატარებულია უფლებრივი თვალსაზრისი,

უფრო ნათელი, რომ იყოს ეს ანალიზი, ავიღოთ ერის მაგივრად ადამიანი. ყოველი ადამიანი თავისუფალია ე. ი. აქვს სრული უფლება თვით-გამორკვევისა. შეიძლება ამ პრინციპიდან გამოვიყვანოთ ის დასკვნაც, რომ ბავშვსაც კი აქვს ეს უფლება?! არა, შეუძლებელია, ბავშვს არ შეუძლიან დამოუკიდებელი თვითმოქმედება. იმას არა აქვს საკმარისი შეგნება, არ გაეგება არც თავისი, არც სხვისი ინტერესი, არა აქვს საკმარისი გონებრივი თუ ფიზიკური ძალა, რომ დაიცვას თავისი თავი ან თავისი უფლებები. იმას სჭირია მზრუნველი და ზედამხედველი. ასეთია პრინციპი სამოქალაქო უფლებისა.

სწორედ ამისთანავე შეხედულება გატარებული ერთა მიმართ ლიგის ხელშეკრულებაში. და ეს შეხედულება მე მგონია სრულებით სამართლიანი და მიზან შეწონილი. მართლაც, განა შეიძლება ერთი და იმავე პრინციპით გადაწყდეს ბედი პოლონეთის და აფრიკის რომელიმე ველური ხალხისა, ან საქართველოსი და წყნარი ოკეანესი რომელიმე გადაკარგული კუნძულისა, სადაც ხალხს არა აქვს არავითარი სახელმწიფოებრივი შეგნება და არავითარი კულტურა?! რასაკვირველია, ეს შეუძლებელია, ეს იქნებოდა სრული უსამართლობა.

კონფერენციის შეხედულებით ყველა ეს ერები დაყოფილია, თუ შეიძლება ასე ითქვას—სამ ზონად. პირველ ზონას ეკუთვნის ერი რომელიც ისტორიულად გამორკვეულია და ფაქტიურად შეუძლიან დამოუკიდებელი ცხოვრება, მეორე ზონალ—ერი, რომელიც მისწრაფვის თავისუფლებას, მაგრამ დამოუკიდებლად და დაუხმარებლად ცხოვრება არ შეუძლიან, და მესამეს—ის ხალხი, რომელსაც ჯერ შეგნებაც კი არა აქვსთ თავისუფალი ცხოვრებისა. პირველისთვის ღიაა კარი ერთა ლიგისა, რომ ლიგა იძლევა შესაძლებელ გარანტიას მისი თავისუფლებისა და უზრუნველყოფისა; მეორეს ენიშნება მანდატერი, სხვა და სხვა კომპეტენციით, როგორც მზრუნველი და ზედამხედველი; მესამე კი—ავებით ინახავს მანდატერი მის სახელმწიფოს კანონებსა და მმართველობას, რომლის კავშირის ფარგლებში ის იმყოფება. მდაბიოდ რომ ვსთქვათ, გამოდის: ზოგი ერი ცნობილია როგორც სრულწლოვანი, მას შეუძლიან თავისუფალი ცხოვრება და მოქმედება; ზოგი—ჯერ არ არის კიდევ სრული წლოვანი, მისთვის საჭიროა ჯერ კიდევ მზრუნველობა, და ბოლოს ის ხალხი, რომელიც თავის შეგნებით თუ ეკონომიური ძალით სრულებით მცირე წლოვანია, ამას არ შეუძლიან თავისუფლად არც ცხოვრება, არც მოქმედება.

ასეთია საზოგადო პრინციპი, რომლის და მიხედვით ცოტათი მაინც მოწესრიგებულია ეროვნული პრობლემა ერთა ლიგის ხელშეკრულებაში. მართალია, ეს კიდევ არ არის საბოლოო გადაწყვეტა პრობლემისა, მაგრამ ნაბიჯი კი ძალიან დიდი არის წინ გადადგმული.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. №№ 124—135.

[illegible]

...რამდენს ამსახურებენ? ნახა ოჯახი ამ წყალწაღებულ მდგომარეობაში და თუმცა დასვენება სჭიროდა მეორე დღესვე წავიდა ხორბლის ჩამოსატანად, დიდის წვალებით ჩამოიტანა 5 ფ. ხორბალი. წასვლა წამოსვლის ხარჯი 900 მანეთი, სადგურამდე ხორბლის ჩატანა 400 მან. სადგურიდან თბილისამდე 525 მანეთი, წვრილმანი ხარჯი და სადგურების „ჰაბინონებიც“ 100 მან. ამ რიგად მოაღწია როგორც იყო თბილისამდე, ამ ნაქებ ნადიდებ ოაზისამდე იმ იმედით, რომ დასასრული მიეცემოდა ჩვენს ტანჯვას, მაგრამ ბედმა დაგვცინა—ის თურმე ყოფილა კომედია და შესავალი იმ დრამისა, რომელიც ჯერ კიდევ წინ გვედგა გასავლელი და მოგველოდა ოაზისის დემოკრატიულ ცენტრში,—დედა ქალაქ თბილისში, რომელიც ათი ათასობით სავსეა „დემოკრატიულ“ დაწესებულებით.

სადგურზედ მივიღეთ ხორბალი, ბავშურის სიხარულით გავსწიეთ წისქვილებისკენ დასაფქვავად. მეწისქვილემ მოგვთხოვა წისქვილის მეთვალყურე კონტროლის ,,ნებართვა''. აკიდებული მუშით მივედით ,,კონტროლთან'', რომ მიეცა ნებართვა. ამან ყვინჩილურის მედიდურობით გვიბძანა: ,,აწი უკე გვიანია, დილის 9 საათია, ხვალ დილის 6 საათზე მიიტათ საფქვავიო''. რა გაეწყობოდა! რუსებისაგან ნაანდერძევი ბალაკირევის ,,ზავისა'' ჩვენს ,,ოაზისის'' რესპუბლიკაში იმდენად სრულ იქნა და განმტკიცდა, რომ იმის წინაღმდეგ კრინტის ამოღება უბრალო, ,,პრესებით'' რესპუბლიკის მოქალაქეს არ ძალუძს! და ზაკაზნოი პირველი ,,სერიების'' მოქალაქეებს ხომ რიგ გარეშედ უფქვავენ. წამოვიღეთ უკანვე სახლში ხორბალი, მუშას მივეცით წასაღებ წამოსაღები 600 მან. მეორე დილას 5 საათზე გავწიეთ წისქვილისკენ იმ იმედით, რომ ყველაზე პირველი მე მივიდოდი, მაგრამ თურმე ჩვენსავით მდგომარეობაში სხვები ყოფილან და ისინი ღამის 3 საათზე მისულიყვნენ: 60-დე ქალი, კაცი, გოგო, ბიჭები ფეხ და ტან შიშველნი. როგორც იქნა ინებეს ,,წისქვილის ბატონებმა'' 8 საათზედ მობრძანება. გვიბრძანეს: ,,ახალი განკარგულებაა 5 ფუთის მაგიერ მხოლოდ ორი ფუთის დაფქვის ნება გაქვთო'' მცირედი პროტესტების და თითო-ოროლა უცენზურო სიტყვების გაგზავნის შემდეგ სხვადასხვა მაღალ და საპატიო ადრესებზე, შეურიგდა მდგომარეობას მუდამ ქამ ,,ოჩერედში'' გახედნილი [illegible]

...საღამოს 8 საათამდე ესე იგი 14 საათს უკანასკნელი 500 მან. იზამს 6000 მანათს, შეშა, მარილი და სხვა წვრილი ხარჯიც ხუთ ფუთს დასჭირდება სულ ცოტა 1000 მანეთი. მოხვნა, მომკა, გალეწვაში გაწეული ჩვენი შრომა და ნაღდი ფული დაგვეხარჯა 6000 მანეთი, ასე რომ 5 ფუთი პური წნორისწყლიდან ჩამოეტანა, მისი დაფქვა გამოცხობა და მისი მოგვარება უჯდება ადამიანს არა ნაკლები 16,500 მანათსა. ახლა მკითხველს ადვილად შეუძლიან წარმოიდგინოს რატომ არის გირვანქა შავი ტალახიანი პური ანუ ,,ერაძის ბისკვიტები'' გირვ. 70, 80 მანეთი და იმედია ახლო მომავალში 150 მანეთამდე მიაღწიოს გირვანქამ. აი აქედან განსაზღვრეთ რამდენი უჯდება რესპუბლიკანელს ლუკმა ,,ერაძის სეფისკვერისა'' იმ ფიზიკურ ტანჯვა წვალება და ზნეობრივ დამცირების გარდა, რომელსაც განიცდის ხოლმე ზემო აღწერილ პროცედურების დროს.

იბადება კითხვა: ვისთვინაა საჭირო წისქვილს ეს ახირებული ოჩერედები? მაინც ხომ უნდა დაფქვას საცოდავმა მოქალაქემ და რაღა საჭიროა რომ ხუთი ფუთის დაფქვაზედ ლორებივით ხუთ ჯერ არ შერეკონ ბასინოვის წისქვილის ეზოში თვისი საყვარელი ,,დემოკრატია'' და დილის 5 საათიდან საღამოს 8 საათამდე ცის ქვეშ არ ამყოფონ, ზედ არ ადინონ თავსხმა წვიმა და მუხლებამდე არ ატოპინონ წისქვილის საშინელ ნაგვიან ტალახიან ეზოში? ეს რომ გადაჭარბებული არავის ეგონოს, შეუძლიან მიბრძანდეს ქალაქის ,,მუნიციპალიტეტის'' რომელიმე პომპადური დილის ხუთ საათზე (რა დიდი საქმეა კრიალა ავტომობილით გასეირნება და იქ ნახავს თვის ,,საყვარელ დემოკრატიის'' ნაწილს 400 დე ქალს, კაცს, ნამეტნავად, ბავშვებს, რომლებიც წვიმას და სიცივეს ოთხათ მოუხრიათ და მთელს ტანით რიგ ძიგძიგებენ, რა დააშავა ამ ,,დემოკრატიამ'', ამით ხომ სულს აქეთ რაც ჰქონდათ ყველაფერი მისცეს ,,ბატონებს'', ამ ტალახიდან და ქუჩიდან ,,დვარეცებში'' შეაბძანა, თითონ კი მათ ადგილას გაჩნდა ქუჩაში და ტალახში. რატომ ერთხელ თუნდაც ავტომობილის ფანჯრებიდან, არ გადმოხედავენ დიდი ბატონები თვის ერთგულ ქვეშევრდომ მოტყუებულ და ყინულზე გაცურებულ დემოკრატიას?...

,,გაწამებული''.

# ჩვენი კორესპონდენტები

## ქ. ბორჯომი.

გრძნობიერათ ქცივდა. ცოტაც ჩამოთოვლა კიდეც. არავინ არ ელოდა, რომ ზამთარი ასე უცებ ესტუმრებოდა ბორჯომს. ყველას დაეტყო საქმიანობა, ყველა ფუსფუსებს, ყველა სცდილობს ცოტათ თუ ბევრათ მოიმარაგოს ოჯახი. მოაგარაკეთა წასვლის შესდეგ ბორჯომი სურსათ სანოვაგის მხრივ ნუგეშიან მდგომარეობაშია. ამ მხრივ მცხოვრებლებს დიდ დახმარებას უწევს ქალაქი, რომელმაც ქალაქის თავის დიდი მეცადინეობით, ჯერ კიდევ ზაფხულიდან გახსნა ფურნეები და საყასბო. გირვანქა სუფთა ხორბლის პური ფასობს 35 მან. ხორცი კი 35 მ.

მხოლოდ უშეშობა აშინებს მცხოვრებლებს. მიუხედავათ იმისა, რომ მთელი ბორჯომი გარშემორტყმულია ტყეებით მაინც შეშას ვერ ნახავთ ბაზარზე. ქალაქს სურდა დაემზადებინა 1000 კუბ. საჟენი შეშა მცხოვრებთათვის მისაწოდებლათ, მაგრამ ბორჯომის სახელმწიფო მამულმა, რომლის ,,ნამესტნიკათაც'' ითვლება გ. ხუნდაძე, აქაც ხელი შეუშალა ქალაქის კეთილ განზრახვას.

უშეშობის გარდა ბევრს აფიქრებს აგრეთვე უბინაობაც. მოსახლეთა უმეტესი ნაწილი და მათ შორის უფრო მასწავლებლები ბინის მხრივ განიცდიან საშინელ კრიზისს. და ეს იმ დროს, როცა რუსი-დენიკინელი მოხელენი გამოჭიმულნი არიან მშვენიერ სახლებში ამ მოხელეთა თითოეულ ოჯახს, რომელიც შესდგება, მხოლოდ ორი ან სამი სულისგან უჭირავს ოთახი ან ხუთი ოთაგი. არის ისეთი შემთხვევაც, როცა ერთ ოჯახს რომელიც შესდგება მარტო 2, 3 სულისგან დაკავებული აქვს ორ სართულიანი სახლი და თავი კი პირველ სოციალისტებათ მოაქვთ.

ეს სამართლიანობაა უსამართლობა? და თვით სოციალისტებმა მიპასუხონ ამაზე.

მ. ბ-ლი.

# საქართველოს ეკონომიური კრიზისი.

## (წერილი რედაქციის მიმართ).

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ ამ ჩემ წერილს მისცეთ ადგილი თქვენ პატივცემულ გაზეთში. კვირას გამოველ ქუჩაში და რადგანაც უადგილობის გამო, ტრამვაიდან სამჯერ ჩამომახტუნეს, გზას ფეხით გავუდექი. ბევრი რამ ფიქრი მომივიდა თავში, როგორ დავახწიო თავი უპურობა,—უმარილობა,—უშეშობა — უტანისამოსობასა და სხვა გაჭირვებასა მეთქი—ვეკითხებოდი ჩემს თავს. თანაც გამახსენდა რომ ხვალისთვის ოჯახში ერთი წვეთი ნავთი არ მომეძებნებოდა და დღეს საღამოის შვიდ-რვა საათიდან დილის 8 საათამდის რიგში უნდა ჩამდგარ იყო ჩემი 16 წლის ქალი, ვაი თუ ვინმემ შეურაცხყოფა მიაყენოს მეთქი—ვფიქრობდი მწარედ. ამ დროს ტროტუარზედ ფეხი წამოვკარ რაღაც სქელ კონვერტს. ავიღე, გავხსენი და შიგ აღმოჩნდა ის წერილი იყო, წერილი რომელსაც ახლა თქვენ გაახლებთ და გთხოვთ დამიბეჭდოთ. რადგანაც იგის ჩემ მწარე ფიქრებს უპასუხებს:

,,ძმაო და მეგობარო პეტრე''.

შენი წერილი მივიღე. მიკვირს რომ, შენი სიდინჯე ასე შეურყევია თედო ღლონტის წერილს ,,სახალხოში'' და ასე გაუცხარებიხარ!

განა რა დასწერა ამისთანა ასაღელვებელი მან? მხოლოდ ის რომ თუ ყველა ნაციონალ-დემოკრატებს გააძევებენ, როგორც სახელმწიფო, აგრეთვე კერძო ბანკებიდან, საქართველოს ფინანსიური კრიზისიდან ვიხსნითო. აბა, რა არის აქ საწყენი, ჩემო პეტრე!

მე სულ სხვა თვალსაზრისით ვუყურებ ამ ნაირ წერას. დეე, სწერონ ყველამ, ზოგმა ჭკვიანური, ზოგმაც სისულელე. ყველამ წარმოსთქვას თავისი აზრი და შეიძლება ვინმემ მართლაც გამოძებნოს საშუალება ჩვენი ქვეყნის კატასტროფისაგან ხსნისა, თორემ ხომ ხედავ, რა სიჩქარით მივექანებით უფსკრულისაკენ.

მე კი მეტად მადლიერი ვარ თედოსი და აი რატომ: ჩემში მისმა წერილმა, სადაც მან ასე უბრალოდ გამოსძებნა წამალი ჩვენი ქვეყნის ფინანსიურად ხსნისა, გამოიწვია ერთნაირი შური, ვსთქვი: ნუ თუ მე მაზედ უარესი ფანტაზიის პატრონი ვარ მეთქი და ცოტა ფიქრის შემდეგ მეც მოვძებნე წამალი ჩვენი რესპუბლიკის მეორე კატასტროფის თავიდან ასაცდენათ ე. ი. გადავწყვიტე მოკლედ და უბრალოდ ასე გართულებული, ჯერ-ჯერობით სათბობ სანათის საკითხი, რომ ამით მეც მოუტანო ჩემს სამშობლოს შესაძლებ სარგებლობა.

შენ იცი, რასაკვირველია, ჩვენმა სოციალისტურმა მთავრობამ გამოსცა ბრძანება, რომ მთელს რესპუბლიკაში საათის ისარი იქნეს ერთი საათით წინ წაწეული. ჯერ ვერ მივხდი რაში იყო საქმე, მაგრამ როცა ამიხსნეს, რომ ამას შეუძლია მოგვცეს სათფო-სანათის დიდი ეკონომია, მეც დავუჯერე; ოღონდ ერთი ვერ გამეგო, თუ ერთი საათით ისრის წინწაწევა დიდს ეკონომიას მოგვცემდა, რატომ ამ დალოცვილმა მთავრობამ არ ისურვა, ბარემ გადაეწია რამოდენიმე საათით, ამას ხომ შეეძლო მინიმუმამდის მიეყვანა კრიზისი.

და აი ამ მოსაზრებამ და კიდევ იმან რომ რუსეთის ,,სოვდეპიაში'', თურმე ნუ იტყვით, საათის ისარი სამი საათით წინ წაუწევიათ და ამით ბევრი ბედნიერება მიუყენებიათ იქაურ სოციალისტებს თავის ქვეყნისათვის; მე არ დამაკმაყოფილა ჩვენში ისარის ერთი საათით წინ წაწევამ, თანაც ჩემი პატრიოტული თავმოყვარეობა შეურაცხყოფილად მივიჩნიე: როგორ თუ ეს რუსეთმა მთელი ორი საათით გაგვისწრო საათის ისრის გაქანებაში და გადასწყვიტე ჩვენში იქნეს ისარი წაწეული არა ერთი საათით, არამედ ხუთით და აი თუ რა მოსაზრებით: თუ ერთი საათით წინ წაწევა იძლევა მაგ. 10 პროც. ეკონომიას, მაშინ ხუთი საათით ისრის წინ გაქანება მოგვცემს 50 პროც. 1—10 პროც., 5—50 პროც. ეს ხომ ეკონომიური მხა-[illegible]

...ჰყვება ჩემს პროექტს, ამას ფაქტებით დაგიმტკიცებ;

ავიღოთ მაგალითად: დილის ნამდვილ 8 საათზე იწყება სამსახური და საზოგადო მუშაობა და გრძელდება ნაშუადღევის ნამდვილ ორ საათამდის. ორ საათზედ თავდება სამსახური-მუშაობა, ეხლა წავწიოთ საათის ისარი ხუთი საათით წინ, იქნება საღამოს შვიდი საათი (ნამდვილად კი ორი) მივირთვათ სადილი, გავაკეთოთ რაც გვნებავს თორმეტ საათამდის (ნამდვილად საღამოს 7 საათამდის). ეხლა დავწვეთ, ვინაიდან 12 საათამდის კმარა დროს ტარება-ხეტიალი და დავწიოთ საათის ისარი 5 საათით ისევ უკან, იქნება საღამოს ნამდვილი 7 საათი, ამ დროიდან დილის 7 საათამდის უთუოდ უნდა ვიძინოთ. დილის 7 საათზე ვდგებით და ვემზადებით სამუშაოდ წასასვლელად,—აქ იწყება საღამოს ნამდვილი 7 საათი, ვინაიდან რვიდან იწყება ისევ ის, რაც ეხლა აგიწერე და ასე ამ ნაირად ისე დღეს, როგორც გუშინ, და ასე მთელი წელიწადი.

აქედან შედეგები: ჯერ ერთი ის რომ გარეგნული შეხედულებით (ევროპიელები ხომ ამას ვერ მიხვდებიან) გამოდის რომ ჩვენ ვმუშაობთ 11 საათს და გვძინავს მხოლოდ 7 საათი, ნამდვილად კი გამოდის, რომ ვმუშაობთ 6 და გვძინავს 12 საათს და ამით დიდ შეცდომაში შევიყვანთ ანტანტას, რომელიც გვისაყვედურებს, თითქოს ჩვენ ცოტას ვმუშაობდეთ და ვითომ ამისთვის არ უნდოდეს ჩვენი იურიდიულად ცნობა და სესხის მოცემა- როცა კი ნახავს ამ სურათს და დარწმუნდება რომ ჩვენ ბევრს ვმუშაობთ და ცოტას ვისვენებთ, უთუოდ გვიცნოდენ იურიდიულად, ეს აუცილებელია და სესხსაც ბლომად მოგვცემენ. ეს ხომ ყოველივე კარგი, მაგრამ მეტად ვწუხვარ, რომ ეს აზრი არ მომივიდა თავში ევგენის და კოწიას ევროპაში გამგზავრებამდის, თორემ მაშინ იმათი იქ წასვლა საჭირო არ იქნებოდა და რამოდენიმე ათეული მილიონების ეკონომიასაც გავაკეთებდით.

ხოლო მეორე შედეგი ის, რომ ვინაიდან ჩვენ ნამდვილად ვმუშაობთ 6 საათს, და გვძინავს 12 საათს, ამით ვინახავთ ხალხის ფიზიკურ ძალ-ღონეს, ვამრავლებთ შთამომავლობას და ასე ამნაირად ვაძლიერებთ ჩვენს სოციალისტური რესპუბლიკას ეკონომიურადაც და ფიზიკურადაც.

რი წინ და უკან, როდის და როგორც დაგვჭირდება და ამნაირად შევძლებთ სხვა სიკეთესთან ერთად სანათ-სათფობის დიდი ეკონომიაც გავაკეთოთ. ხოლო რაც ამ წაჯიგ უკუჯეთობით კეროსინის ეკონომია დაგვრჩება ბათუმში, კ ხენოლაძის საშვლებით გავყიდოთ საზღვარ გარეთ და აქედან მოგებული ვალიუტა მოვახმაროთ მომარაგების სამინისტროს აგენტებს და ნავთის რიგის უცნაურ გრძელი კუდები საღამოს რვა საათიდან დილის რვა საათამდის ქუჩებში თავის-თავათ სრულად მოისპობა.

აი, ჩემო პეტრე! ეს პროექტი მინდა წარუდგინო ჩვენს მთავრობას, რომელიც, როგორც სხვა და სხვა ექსპერიმენტების მოყვარული, მთლიანათ მიიღებს მას და მით, უთუოდ იხელმძღვანელებს და შესაფერ დეკრეტებსაც გამოსცემს. თუ ღმერთმა ქნა და ამ პროექტმა მიზანს მიაღწია, მე შემიძლია კიდევ უფრო შორს წავიდე და სულ დავაყენო საათის ისრები და ამით შევაჩერო ყოველი მოძრაობა.. ისხდნენ და ისხდნენ თავ-თავიანთი სახლებში, მაშინ, შეიძლება, კრიზისი არამც თუ შევამციროთ, არამედ სრულიად მოვსპოთ, ვინაიდან არავითარი ხარჯი არ იქნება.

იცი, უთუოდ, გაზეთებიდან, რომ იყო სოციალისტების ეკონომიური თათბირი. ვწუხ როდ მე როგორც არა სოციალისტი თათბირზედ არ ვიყავი მიწვეული, თორემ ბევრი საჭირო პროექტებს შევიტან და მით ქვეყნის სახსნელი რეზოლიუცია უფრო მოკლედ მიზან შეწონილი და ცხოვრებისთვის უფრო საჭიროდ იქნებოდა:

მარტო კლუბ-რესტორანების დაკეტვით რა აქნება! მე უთუოდ მივაწოდებდი მათ ჩემს შემდეგ რეზოლიუციას: ,,საქართველოს სოციალისტურ-დემოკრატიულ რესპუბლიკაში არავინ გაბედოს ჩაცმა-დახურვა, ჭამა-სმა, სახლიდან ქუჩაში გასვლა, სახლში სტუმრის მიღება, სახლიდან მომარაგების სამინისტროს ნებადაუ თველიად გატანშემოტანა და სხ. სხვა, მე მგონია აქ უფრო მტკიცედ და ფართედ იქნებოდა მიხწეული სრული სახელმწიფობრივი ეკონომია.

არ დაგვჭირდებოდა რაღაც ფქვილზედ და ნავთზედ ან მანუფაქტურაჩითეზზედ და ტყავეულობაზედ ზრუნვა და ფიქრები, არც გარეშე-შინაური ნებითი სესხი და ასე ამ ნაირად, თავის თავად დამყარდებოდა ჩვენს მშვენიერ ქვეყანაში ეკონომიურ-ფინანსიური და ფიზიკური, ჩვენი სოციალისტებისაგან დაპირებული, ნამდვილი ბედნიერება და ნეტარება...

ეხლა ჩემო პეტრე, ველი შენს პასუხს ამ წერილზედ, თუ კი შენ მოიწონებ და გაიზიარებ ჩემს აზრს, მე მხოლოდ მაშინ წარვადგენ ამ პროექტებს და ბევრ სხვას ამ გვარიებს, ოღონდ შენ უდავოდ არ შემიძლია ამისათვის გთხოვ, პასუხი არ დამიგვიანო.

იქნება თვითონ მოხვიდე და ეს პროექტები ერთად შევასწოროთ, გადავაკეთოთ და ისე შევსებულად წარუდგინოთ სადაც ჯერ არის.

ოღონდ არ დავიგვიანოთ და ვინმე სხვამ მაგ. თედო ღლონტმა, ან თვითონ მთავრობამ არ მოგვასწროს, ვინაიდან იმათ ბევრი ნაბიჯები გადასდგეს ამ ფეროში და ვაი თუ თვითონაც მივიდნენ ამ მოსაზრებამდის.

მაშინ ხომ დაიკარგა ჩვენი სახელი ისტორიაში და მე კი ძლიერ მინდა ისტორიაში ჩემი სახელი ,,ქვეყნის მხსნელად'' იხსენებდეს. მინდა ჩემი სახელი უკვდავ იყო შთამავლობისათვის.

დანარჩენზედ, როცა მოხვალ, გელი მოუთმენლად. არ დაიგვიანო თუ ძმა ხარ.

შენი გოგი.

—

ბნო რედაქტორო

უმორჩილესადა გთხოვთ თქვენ პატივცემულს გაზეთ—საქართველოში—შემდეგი: ჩვენ,—ტყიბულის მაღაროვებში მუშა მოსამსახურენი ეროვნულ-დემოკრატები, ვუცხადებთ სრულს თანაგრძნობას ჩვენი ქვეყნის ვაჭრობამრეწველობის აღორძინების მოტრფიალე გაზეთს ,,საქართველოს''. ვიმედოვნებთ რომ ბრძოლა სიმართლისთვის, რომელსაც ერ. დემოკრატები ეწევიან საბოლოოდ გაიმარჯვებს საქართველოს საკეთილდღეოთ.

მაღაროების ერ. დემ. მუშა მოსამსახურის მინდობილობით ელეფთერ გაზრიჩიძე.

სარედაქციო კოლეგი.
მთავარი რედაქტორი: სპ. კედია

თვალების ავადმყოფების
ექიმი
მ. გოლშტეინი
სათვალეების შერჩევა. ავადმყოფების მიღება დილის 8 ს-დან 11 ს-მდე; საღამოს 2—7 საათამდე.
ნიკოლოზის ქ. № 32.

დაბრუნდა და განახლა ავადმყოფ[illegible] მიღება.
ექიმი
მ. ო. [illegible]
შინაგან და ნერვების ავადმყ. ელექტრონით წამლობა.
ავადმყ. მიღება საღ. 5-7 ს, ანასტ[illegible] ქუჩა № 3 ტელეფ. 9—31.
№ 3207

ექიმი
ე. ი. კალანდაძე.
ლებულობს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს დღის 8—12 ს. ვენერიულ სიფილისი (შეშხაპუნება 606 და [illegible]) და საშ[ა]რდე ორგანოთა საღ. 5—[illegible] გუნიბის ქ № 6, მოსკოვის ქუჩ. თხე ზემმელის აფთიაქთან. ტელეფ. 13—95.
32[illegible]

ექიმი
ისაკ იაკობის-ძე
მინოვიჩი
ლებულობს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ.
ყოველ დღე დილის 10-12 ს. და საღ. 5 7. ს. ქარვასლის ქუჩა, № 5 (მეჯ[ლისის] ბაზარი) ბინა ყოფილი ექ. ჰოლოშვილ[illegible]
№ 320[illegible]

## მატარებელთა მიმოსვლა

ღვინობისთვის 10-დან 1920 წ.

### თბილისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| № 3 ბათომისაკენ | 10 ს. | 58 წ. |
| ბათომში ჩადის | 7 ს. | 27 წ. |
| № 9 ფოთისაკენ | 5 ს. | 34 წ. |
| ფოთში ჩადის | 10 ს. | 45 წ. |
| № 7 ბათომისკენ | 10 ს. | 28 წ. |
| ბათომში ჩადის | 5 ს. | 52 წ. |
| № 19 ბორჯომისკენ | 3 ს. | 19 წ. |
| ბორჯომში ჩადის | 11 ს. | 25 წ. |
| სალოღლისკენ | 7 ს. | 20 წ. დილ. |
| № 4 სანაინისკენ | 8 ს. | დილ. |
| სანაინში ჩადის | 5. ს. | საღ. |
| კახეთისკენ | 8 ს. | 30 წ. |

### თბილისისკენ მოდის.

| | | |
|---|---|---|
| № 10 ფოთიდან | 3 ს. | 51 წ. |
| თბილისში მოდის | 9 ს. | 16 წ. |
| № 4 ბათომიდან | 4 ს. | 9 წ. |
| თბილისში მოდის | 1 ს. | 1 წ. |
| № 8 ბათომიდან | 11 ს. | 37 წ. |
| თბილისში მოდის | 7 ს. | 36 წ. |
| № 20 ბორჯომიდან | 12 ს. | 22 წ. |
| თბილისში მოდის | 7 ს. | 47 წ. |
| სალოღლიდან | 12 ს. | 10 წ. დილ. |
| № 4 სანაინიდან | 7 ს. | 30 წ. |
| თბილისში მოდ. | 3 ს. | 20 წ. |
| კახეთიდან თბილისში მოდ | 8 ს. | 20 |

ყიდის ფოთის ქალაქის გამგეობა
ორტესხებ რკინის კოჭებს 14 სიმაღლეს და 11 არშ. ვერშ- და 10 არშინიანებს. წონით 2000 ფუთამდე და ხელსაწყო ფოლადს 1/4 — 1 1/4-დე, წონით 100 ფუთ[illegible]
3—3

მეორე ქართული კლუბი
პარასკევს, 5 ნოემბერს საღამოს 7 საღამოს საათზედ, დანიშნულია
საგანგებო საზოგადო კრება
ფრიად საჭირო კითხვების განსახილველათ. წევრთა დასწრება აუცილებ[ელია]

ქ. მილანში (იტალიაში)
მკათათვის 1-დან დაარსდა ბ-ონ ლადო ჭყედიას სახელობ[ის]
კომერციული კონტორა
რომელიც შუამავლობს, საქართველოს და იტალიელი ვაჭართა შორის [illegible] რის ცნობებს.
ვთხოვთ საქართველოს ვაჭარ-მრეწველთ მიმართონ ხსენებ[ულ] კანტორის ყოველგვარი ცნობებისათვის
სიონიორ ს. ველდემიროვი 37 კორსო ბუნეს აკრეს 37
მილანიი იტალია
3—1 3221.

ორ ოთახს ვეძებ
ალექსანდროვის ქ. № 40.
ისევ ორ ოთახზე, ან მეტზედ.
მე-10, 9, ან მე-3-მე უბანში
ნახვა შეიძლება 4—6 საათ[ზე]
1—1 3231